ღონისძიება - დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე

პროექტის ავტორი - ნანა ასანიძე, დიანა ყიფშიძე

თანაავტორები - პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის მონაწილეები“

დასაწყისი: 25 იანვარი

დასასრული: 16 აპრილი

პრობლემა	• მეტყველებასა და წერაში უმართებულო ფორმების გამოყენება: დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ჟარგონიზმები, კალკი.
პრობლემის აქტუალობა	მოსწავლეებში განსაკუთრებით გამოკვეთილია უმართებულო ფორმების გამოყენება ზეპირ მეტყველებაში, რაც, რა თქმა უნდა, აისახება მოსწავლეთა ნაწერებში. გარდა ამისა, ბავშვებს უჭირთ განასხვაონ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ტიპის შეცდომები, ხშირ შემთხვევაში ბარბარიზმი მართებულ ფორმად მიაჩნიათ. მოსწავლეების მიერ რესურსის შეგროვება (არასწორ ფორმებს ისინი საკუთარ და სხვათა მეტყველებაში „ეძებდნენ“ და ინიშნავდნენ რვეულში) სახალისო აღმოჩნდა მოსწავლეებში. ლექსიკონების სახით შექმნილი თვალსაჩინოება, ვფიქრობთ, ერთი დიდი ნაბიჯი იქნება მეტყველების და შესაბამისად, მართლწერის წესების დასახვეწად.
მიზანი	• შეძლონ დაკვირვება სხვათა მეტყველებაზე; • განასხვავონ სწორი და არასწორი ფორმები; • შექმნან ორთოგრაფიული ლექსიკონი.
განხორციელების გზები	1) მოიძიონ უმართებულოდ ხმარებული სიტყვები და მოინიშნონ; 2) განსაზღვრონ არასწორი ფორმების ლიტერატურული შესატყვისი; 3) ჯგუფურად შექმნან ლექსიკონი; 4) გააკეთონ პრეზენტაცია.
სავარაუდო შედეგი	• მოსწავლე ცდილობს ამოიცნოს საკუთარ და სხვათა მეტყველებაში არასწორი ფორმები; • მის მიერვე შექმნილ არასწორ ფორმებს მოუძებნონ ლიტერატურული შესატყვისი; • შექმნან ლექსიკონი კლასელებთან თანამშრომლობით;
რესურსები	• დამატებითი ლიტერატურა: თვალთვაძე დ. გაფრინდაშვილი ნ. „ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, საქართველოს მაცნე, თბილისი

	2003 • დაფა • ცარცი • კალამი • რვეული • დიდი თაბახი • ადამიანური რესურსი • ფოტო და ვიდეო აპარატი
დიზაინი	• პროექტი დაწერილია მარტივი და ლაკონური ენით, თითოეული ამოცანა შეესაბამება პროექტის მიზანს.

პროექტის შუალედური მონიტორინგის დროს ვაკვირდებოდით მოსწავლეთა მიერ მოძიებულ უმართებულო ფორმებს.

პროექტის მონიტორინგის ინდიკატორები - ფოტო და აუდიო მასალა

ანგარიში

ღონისძიების მიზანი იყო მომავალი თაობის დაინტერესება მშობლიური ენის სიწმინდის დაცვით, ადგილობრივი მოსახლეობისა და სკოლის მოსწავლეებისათვის მათ ლექსიკაში არსებული უმართებულო ფორმების ინფორმაციის მოძიება, გასწორება სალიტერატურო ენის ფორმებით, მოსახლეობისა და მოსწავლეების მიერ უმართებულო ფორმების (ბარბარიზმები, კალკი, ჟარგონიზმები და დიალექტიზმები) გამოყენების შემცირება.

პრობლემა, რის გამოც ეს ღონისძიება განხორციელდა, იყო თემის და ბავშვების არადამაკმაყოფილებელი ყურადღება ქართული ენის სიწმინდის დაცვისადმი. ღონისძიება დაიწყო 25 იანვარს და დასრულდა 16 აპრილს ქართული ენის დღისდმი მიძღვნილი საღამოთი. ღონისძიებაში ჩართული იყო ახალშენის საჯარო სკოლის VI - XII კლასები.

ღონისძიების ფარგლებში, ყველა მოსწავლემ მოიძია და შეაგროვა სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი ფორმები. დააკვირდნენ სხვათა მეტყველებას სკოლაში, სახლში, მაღაზიაში, ქუჩაში. მოძიებული სიტყვები ჩაიწერეს, ჯგუფურად შეუსაბამეს მართებული

ფორმები, შექმნეს ორთოგრაფიული ლექსიკონი და თავიანთი ნამუშევარი წარადგინეს აუდიტორიის წინაშე. ამის სემდეგ თითოული ჯგუფის მიოერ სექმნილი ლექსიკონი გამოიკრა სკოლის სტენდზე.

ღონისძიება სიმბოლურად დასრულდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებით, სადაც მოსწავლეებმა ქართულ ენას პატივი მიაგეს მშობლიური ენისადმი შექმნილი ლექსებითა და მხატვრული გამონათქვამებით. ღონისძიება დამთავრდა, მაგრამ ქართული ენის ზეიმი კვლავაც გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველი იარსებებს.

ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო , იმიტომ რომ მოსწავლეება გაიზრეს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნენ ქართული ენის დაცვის საკითხს. ქართული ენის სიწმინდის დაცვა ერთნაირად უნდა აღელვებდეს ყველას - პედაგოგსაც და მოსწავლეებსაც.

სამწუხაროა, რომ არ მოგვეპოვება სასკოლო რესურსი: დარბაზი, ცალკე აუდიტორია ან სარეპეტიციო ოთახი, რომელშიც შევძლებდით ჩაგვეტარებინა როგორც რეპეტიციები, ასევე ღონისძიება. გარდა ამისა, ელექტროენერგიის წყარო მხოლოდ ორ ოთახში არსებობს. ვინაიდან ერთი ოთახი დაკავებული იყო, იძულებული გავხდით ღონისძიება ჩატარებულიყო სამასწავლებლოში. ოთახის სივიწროვის გამო მოსწავლეები დავსხით სკამებზე.

მიუხედავად ხარვეზებისა, ამ ღონისძიებამ ნათლად დაგვანახა, რომ ახალშენის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სწამთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსო.“ ბავშვებმა გაიაზრეს, რომ მათი ვალია ფხიზელ დარაჯად დაუდგნენ მშობლიურ ენას არა მარტო ღონისძიების ფარგლებში, არამედ ყოველთვის და ყველგან. მართალია, პრობლემები ერთიანად ვერ აღმოიფხვრება, თყმცა სისტამატიური მუშაობით შევძლებთ უმართებულო ფორმების კიდევ უფრო შემცირებას.